საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-547

17/06/2019

ქ. თბილისი

შპს „ბათნავთობიმპექსის“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადმოსაცლელ სარკინიგზო ესტაკადაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 23 ივნისს გაცემული №0055 გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმების შესახებ

მიმდინარე წლის 10 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2003 წლის 23 ივნისის №56 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმება.

2003 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ბათნავთობიმპექსის“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადმოსაცლელ სარკინიგზო ესტაკადაზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №56 23.06.2003; ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №4) და №0055 გარემოსდაცვითი ნებართვა. 2006 წელს რეორგანიზაციის შედეგად მოხდა შპს „ბათნავთობიმპექსის“ შერწყმა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალთან“, რაც დასტურდება მეწარმეთა რეესტრიდან ამონაწერით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩამოსაცლელი სარკინიგზო ესტაკადა წარმოადგენს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და გარემოსდაცვითი მოთხოვნა სრულად არის აღწერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 30 იანვრის №4 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული №000007 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ განცხადებისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს შპს „ბათნავთობიმპექსის“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადმოსაცლელ სარკინიგზო ესტაკადაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 23 ივნისს გაცემული №0055 გარემოსდაცვითი ნებართვა;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ბათნავთობიმპექსის“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადმოსაცლელ სარკინიგზო ესტაკადაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წლის 23 ივნისს გაცემული №56 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი